ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 16

24 ნოემბერი 2023 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2023 წლის 24 ნოემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, ზაზა ზივზივაძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძემ, ნინო კვირიკაძე, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, გვანცა გრძელიძე, გურამ ჩხეიძე, დიომიდე კიკნაველიძე,ირაკლი გოგსაძე, მაკა მესხი, ჯუმბერ რობაქიძე.

სულ: 21 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: შადიმან გორგოძე, სიმონ ჭოლოკავა, მაია კბილაშვილი, ვლადიმერ წიქორიძე, შალვა მშვილდაძე, ნინო ფურცელაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა ენუქიძე - მუნიციპალიტეტის მერი

ქეთევან კარკაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

მარეხი მშვენიერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური.

მინდია კიკნაველიძე - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი.

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

მუნიციპალიტეტის ნმიერ დაფუძნებული ააიპ-ების ხელმძღვანელები.

პრესის წარმომადგენლები

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. ნ. გიორგიძემ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი..

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ინფორმაცია 2023 წლის 10 თვეში მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების (რგფ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება) დასრულების მდგომარეობის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის
სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

6. სხვადასხვა

ა) ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმოხილვა.

მომხს. ლერი გუმბერიძე მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 21 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია სხდომაზე გააკეთა, ლერი გუმბერიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: ბიძინა ჯაბიძემ, ირაკლი გოგსაძემ, მურად ბურჯანაძემ, გურამ კიკნაველიძემ, კახა ენუქიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომაზე ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება სხდომას მიაწოდა, ამავე კომისიის თავმჯდომარემ - მურადი ბურჯანაძემ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ინფორმაცია, „მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების“ შესახებ ცნობათ მიიღო.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ინფორმაცია 2023 წლის 10 თვეში მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროქტების(რგფ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ადგილ. ბიუჯეტიდან დაფინან.) დასრულების მდგომარეობის შესახებ.

ინფორმაცია: მუნიციპალიტტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ, სხდომას მიაწოდა, კახა მსხვილიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: თორნიკე გაჩეჩილაძემ, ბიძინა ჯაბიძემ, დიომიდე კიკნაველიძემ, ზაზა ზივზივაძემ, მურად ბურჯანაძემ, კახა ენუქიძემ, ნოდარი გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ინფორმაცია 2023 წლის 10 თვეში მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროქტების(რგფ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ადგილ. ბიუჯეტიდან დაფინან.) დასრულების მდგომარეობის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ ცნობათ მიიღო.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფსურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

აზრი გამოთქვეს: კახა კოხოძემ, მაია კბილაშვილმა, თორნიკე გაჩეჩილაძემ, კახა ენუქიძემ, ნოდარ გიორგიძემ.
კახა კოხოძე - საკრებულოს წევრი პ/გ „ლელო“, მან დააყენა წინადადება საწყისი წლიური საიჯარო ქირის 500 ლარიდან, 1000 ლარამდე გაზრდის შესახებ. აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს წევრებმა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N62 განკარგულება:**გ-67.6723328001** თარიღი:**24/11/2023** (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა (სხდომა კენჭისყრამდე დატოვა მაკა მესხმა და ნინო კვირიკაძემ)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. .ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი სხდომაზე წარმოადგინა: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მან აღნიშნა, რომ „დასრულდა რეორგანიზაციის საკითხი ააიპ ბაღდათის სკოლამდელი დაწესებულების გაერთიანებაში, დამატებით შეიქმნა ორი ააიპ, რომლებზეც უნდა გადანაწილეს როგორც უძრავი, ასევე მოძრავი ქონებები."

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N63 განკარგულება:**გ-67. 67233282** თარიღი:**24/11/2023** (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

განკარგულების პროექტი სხდომაზე წარადგინა: ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N64 განკარგულება:**გ-67. 67233283** თარიღი:**24/11/2023** (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. სხვადასხვაში ბიუროს წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიოუჯეტი პროექტის განხილვის შესახებ მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედ კომისიებში, რაზედაც ინფორმაცია წარმოადგინეს კომისიის თავმჯდომარეებმა და მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა - ლერი გუმბერიძემ.

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეებმა, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს კომისიებში პროექტის განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე, ბიუჯეტის 2024 წლის პროექტის ირგვლივ ასევე ტავიანთი მოსაზრებები გაოთქვეს

საკრებულოს წევრებმა, ააიპ-ის ხელმძღვანელებმა, მუნიციპალიტეტის მერმნა კახა ენუქიძემ, მუნი9ციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტყის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე წარმოადგინა ის შენიშვნები და წინადადებები, რომლის გათვალისწინებითად ბიუჯეტის 2024 წლის პროექტს დააბრუნებდნენ მუნიციპალიტეტის მერიაში შემდგომი განხილვისათვის.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროეტიქტი შემდგომი განხილვისათვის დაუნრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე